შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

№ 14/20

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“(ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

„21“ იანვარი 2020წ

კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქი თბილისი, სექტორი მთაწმინდა, ქუჩა ამაღლება, №26, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.15.05.091.013, III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესში, საპროექტო შენობის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების მდგრადობაზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა საპროექტო ტერიტორიას და მის მომიჯნავე შენობებს, ქალაქი თბილისი, სექტორი მთაწმინდა, ქუჩა ამაღლება, №26, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.15.05.091.013, III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების პროცესში, საპროექტო შენობის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების მდგრადობაზე შესაძლო ზეგავლენის დასადგენად. ასევე განხილული იქნა ასაშენებელი შენობის საპროექტო დოკუმენტაცია:

1. კონსტრუქციული ნაწილი, წარმოდგენილი ალბომის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი, წარმოდგენილი ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები.

ქალაქ თბილისში, სექტორი სექტორი მთაწმინდა, ქუჩა ამაღლება, №26, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.15.05.091.013, III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო შენობა წარმოადგენს რთული ფორმის ნაგებობას, გაბარიტული ზომებით: 12,38X11,43მ.

საპროექტო შენობა 4სართულიანია (სამი სრული მიწისზედა და ნახევარსარდაფის ერთი სართულით). ნახევარსარდაფის სართულის სიმაღლე შეადგენს 2,80 და 3,06მ; I–III სართულების სიმაღლე შეადგენს 3,23მ.

საპროექტო სარდაფის იატაკის მაქსიმალური ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან შეადგენს 1,94 მეტრს. საძირკვლების ძირის მაქსიმალური ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან 2,40 მეტრი. საპროექტო საძირკვლების ტიპი: მონოლითური რკ/ბეტონის ფილა

კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა. სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა (მიწის ზედაპირიდან 10მ სიმაღლეზე) შეადგენს 70კგ/მ^2; თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ^2.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია თიხნარი გრუნტი, პირობითი საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში: R_0=2,0კგძ/სმ^2;

საპროეტო ტერიტორიაზე ასაშენებელ III კლასის ობიექტს:

აღმოსავლეთის მხრიდან: ესაზღვრება ქალაქი თბილისი, სექტორი მთაწმინდა, ქუჩა ამაღლება, №26, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდი № 01.15.05.091.014, ეზო არანაკლებ 10 მეტრის მანძილზე (შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია) და შემდეგ ამ ნაკვეთზე მდებარე არასაცხოვრებელი ერთსართულიანი შენობები №2/1 და №3/1. საპროექტო მიწის ნაკვეთი, მომიჯნავე მიწის ნაკვეთისაგან გამოყოფილია აგურის წყობის ღობით (აგურის წყობის სისქე შეადგენს 12,5სმ-ს, შელესვით 15სმ-ს. აგურის ღობის სიმაღლე შეადგენს 1,5 მეტრს. ღობეში განთავსებულია რკინის ჭიშკარი, დამონტაჟებული ლითონის ბოძებზე, ხოლო აგურის წყობის თავზე განთავსებულია მავთულბადე ლითონის კუთხოვანებისაგან შეკრულ კარკასში.

დასავლეთის მხრიდან: ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე დაშლილი შენობის შენარჩუნებული ძველი კედელი, რომლის ქვედა ნაწილი აშენებულია ქართული აგურის და თლილი ქვის წყობით, სისქით 72სმ. აღნიშნული კედლის ზედა, სადემონტაჟო ნაწილი აშენებულია მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობით, სისქით 20სმ. შემდეგ ესაზღვრება ამაღლების ქუჩა, №28, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი 01.15.05.091.011 მდებარე საცხოვრებელი, მზიდკედლებიანი ტიპის, ორსართულიანი შენობა №4/2. მომიჯნავე შენობა №4/2-ის მზიდი კედლების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

ჩრდილოეთის მხრიდან: შედარებით დიდ ნაწილში, (7-მეტრიან მონაკვეთში) ესაზღვრება ქალაქი თბილისი, ქუჩა ამაღლება, №26, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.15.05.091.014, მდებარე საცხოვრებელი ორსართულიანი შენობა №1/2. მომიჯნავე შენობის კედელი დაშორებულია საპროექტო შენობიდან 0,5 მეტრით. მომიჯნავე კედლის ტექნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია, მასში შეინიშნება მცირე სიდიდის ბზარები, განვითარებული სეისმური დეფორმაციებისაგან, ნაგებობა ხანდაზმულობის გამო ამორტიზირებულია.
შედარებით მცირე ნაწილში, (4-მეტრიან მონაკვეთში) ესაზღვრება აგურის ღობე, რომელიც წარმოადგენს აღმოსავლეთის მხარეს მდებარე ღობის გაგრძელებას.

სამხრეთის მხრიდან: ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო არანაკლებ 1,35÷2,0 მეტრის მანძილზე და შემდეგ რ. მუსხელიშვილის ჩიხი, სიგანით 4,0 მეტრი, (შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია). მინიმალური დაშორება საპროექტო შენობიდან რ. მუსხელიშვილის ჩიხის მეორე მხარეს მდებარე შენობებამდე შეადგენს 5,35 მეტრს. რ. მუსხელიშვილის ჩიხის მეორე მხარეს (№17/5-ში), თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი №01.15.05.091.014, მდებარე საცხოვრებელი ერთსართულიანი შენობა №1-ის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მასში შეინიშნება მცირე და საშუალო სიდიდის ბზარები, განვითარებული სეისმური დეფორმაციებისაგან, ნაგებობა ხანდაზმულობის გამო ამორტიზირებულია.

იმისათვის, რომ საპროექტო III კლასის ობიექტის მშენებლობის პროცესში არ

გაუარესდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების არსებული ტექნიკური მდგომარეობა,

<u>საჭიროა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:</u>

ჩრდილოეთის მხარეს: მომიჯნავე შენობის გასწვრივ, საპროექტო შენობის ქვაბულის დამუშავება განხორციელდეს სექციებად, სიგანით არაუმეტეს 1,5–1,7 მეტრი. გრუნტის ამოღებისთანავე უნდა განხორციელდეს საპროექტო შენობის საძირკვლის ფილის ნაწილის და სარდაფის მონილითური რკ/ბეტონის კედლის დაბეტონება, ასევე სექციებად, სიგანით არაუმეტეს 1,5–1,7 მეტრი. საძირკვლის ფილისა და სარდაფის მონილითური რკ/ბეტონის კედლის დაბეტონებული სექციაში უნდა დარჩეს არმატურების ნაშვერები მომდევნო სექციებთან გადასაბმელად. დროის ინტერვალი ერთი სექციიდან მომდევნო საქციის ქვაბულის დამუშავებამდე და დაბეტონებამდე 3-4 დღე.

დასავლეთის მხარეს: ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე დაშლილი შენობის შენარჩუნებული ძველი კედლის ქვეშ, მოხდეს საძირკვლების ჩაღრმავება საპროექტო შენობის საძირკვლების ძირის ნიშნულამდე სექციებად დაბეტონებით, სიგანით არაუმეტეს 1,5–1,7 მეტრი. (ჩასაღრმავებელი საძირკვლის სისქე 40-45სმ). არსებული კედლის საძირკვლის სექციის ჩაღრმავებასთან ერთად, არსებულ კედელს გაეკრას არმატურის ბადე და მოეწყოს მონოლითური რკ/ბეტონის პერანგი, სისქით 10სმ. ამავდროულად უნდა განხორციელდეს საპროექტო შენობის საძირკვლის ფილის ნაწილის და სარდაფის მონილითური რკ/ბეტონის კედლის დაბეტონება, ასევე სექციებად, სიგანით არაუმეტეს 1,5–1,7 მეტრი. დროის ინტერვალი ერთი სექციიდან მომდევნო საქციის ქვაბულის დამუშავებამდე და დაბეტონებამდე 3-4 დღე.

სამხრეთის და აღმოსავლეთის მხარეს, ანალოგიური ღონისძიებების ჩატარება საჭირო არ არის, მომიჯნავე შენობების დაშორებიდან გამომდინარე (5,35 მეტრი და 10 მეტრი) მომიჯნავე შენობების გასწვრივ ქვაბულის სექციებად დამუშავების და რკ/ბეტონის სამუშაოები უნდა შესრულდეს ხელით.

ჩრდილოეთის და დასავლეთის მხარეს საძირკვლის ფილის ნაწილის და სარდაფის კედლების სექციებად დაბეტონების შემდეგ შესაძლებელი იქნება ქვაბულის დარჩენილი ნაწილის ამოღება და საძირკვლებისა და სარდაფის დარჩენილი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა.

პროექტით, ასევე გათვალისწინებულია აღმოსავლეთის მხარეს მდებარე აგურის ღობის, აგურის ღობის თავზე განთავსებული მავთულბადის და ღობეში მდებარე რკინის ჭიშკარის დაშლა. ღობის დასაშლელი მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 7,0 მეტრს. ჩრდილოეთის მხარეს მდებარე აგურის ღობის ნაწილი შენარჩუნდება.

პროექტით გათვალისწინებულია ღობის დასაშლელი მონაკვეთის ადგილზე, საპროექტო სახლის სარდაფის მონოლითური რკ/ბეტონის კედლის მოწყობა მიწისქვეშა ნაწილში, ხოლო მიწისზედა ნაწილში, საკადასტრო მიჯნაზე ახალი ღობის მოწყობა. ღობის დასაშლელი მონაკვეთის დემონტაჟი განხორციელდება ხელით. აღნიშნული ღობის დემონტაჟი ტექნიკური თვალსაზრისით არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს,

შესაბამისად არავითარ უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს მომიჯნავე შენობებზე და ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხარეს მდებარე ამავე ღობის შესანარჩუნებელ ნაწილზე.

დასკვნა:

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს, რომ ქალაქ თბილისში, სექტორი მთაწმინდა, ქუჩა ამაღლება, №26, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.15.05.091.013, III კლასის ობიექტის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, ასევე აღმოსავლეთის მხარეს მდებარე აგურის ღობის 7-მეტრიანი მონაკვეთის სადემონტაჟო სამუშაოები არ გამოიწვევს მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების არსებული მდგრადობის გაუარესებას, ზემოთჩამოთვლილი რეკომენდაციების შესრულებით.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი: **/ვახტანგ ჯაფარიძე/**